
N
W
E
S
35.8
11.1
ა. იოსელიანის
შეს.
ღერძული ხაზის განმსაზღვრელი სქემა
3
650
ა. იოსელიანის ქ.
39.9
2.8
1:400

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 3086241

გაცემის თარიღი: 09/02/2017 გაცნობის თარიღი: 10/02/2017

განცხადების ნომერი: AR1475620

შემოსვლის თარიღი: 03/02/2017

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.05.008.281
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია., (ნაკვეთი N8/127) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი N28)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 650.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ამხანაგობა "ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28" (205331283)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- მიხეილ მახათაძე პ/ნ 01026007757
- მისამართი: ბახტრიონის ქ. 35 ბ. 46

ბრძანება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #1802378 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 03 თებერვლის #AR1475620 განცხადებით მომართეს მიხეილ მახათაძემ, ნოდარ გოგლიძემ, მაია ოშხარელმა, მარიამ გოგლიძემ, ზაზა ბარბაქაძემ და ბაჩუკი ოშხარელმა და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #**1802378** ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 ბრძანებით, ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N28) (ნაკვ. N 01.14.05.008.034), დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხოლო სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #**1802378 ბრძანებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 25 მარტიდან 2017 წლის 25 მარტის ჩათვლით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882016648260, მომზადების თარიღი: 26/09/2016 21:31:58) თანახმად, მოხდა #01.14.05.008.034 და #01.14.05.008.267 მიწის ნაკვეთების გაერთიანება და ჩამოყალიბდა ახალი საკადასტრო ერთეული - #01.14.05.008.281. აღნიშნული ამონაწერის თანახმად ქალაქი თბილისი, ჯიქიას ქუჩის (ნაკვ. 8/127) მიმდებარე ტერიტორია/ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე (ნაკვეთი N28), (საკ. კოდი: #01.14.05.008.281), მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი #28“. ID ნომერი: #205331283.

სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #**1802378** ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით მომართული აქვთ უფლებამოსილ პირებს.

ასევე, სამსახურში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

განმცხადებლების განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტების შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვენ სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და 2015 წლის 25 მარტის #**1802378** ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს მიხეილ მახათაძის, ნოდარ გოგლიძის, მაია ოშხარელის, მარიამ გოგლიძის, ზაზა ბარბაქაძის და ბაჩუკი ოშხარელის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მიხეილ მახათაძის, ნოდარ გოგლიძის, მაია ოშხარელის, მარიამ გოგლიძის, ზაზა ბარბაქაძის და ბაჩუკი ოშხარელის 2017 წლის 03 თებერვლის #AR1475620 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #**1802378** ბრძანებები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის)
„ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28“
ხელშეკრულება

მუხლი 1. ამხანაგობის სახელწოდება, მისამართი, ტერმინთა განმარტება და დამფუძნებლები

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის სახელწოდებაა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28 “, რომლის მისამართია: ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, მიმადებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N28).

1.2. სანოტარო აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ამხანაგობის მესაკუთრე წევრი - პირი, რომელმაც შენატანი განახორციელა უძრავი ქონების სახით;

ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი - სხვა ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც გაწევრიანდა ამხანაგობაში საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით;

შენატანი - უძრავი ან მოძრავი ქონება, ფულადი თანხა და მომსახურეობის გაწევა;

ამხანაგობის დამფუძნებელი კრება - ამხანაგობის მართვის ორგანო

ბინა თეთრი კარკასი: ელექტროობა 100კვ.მ ფართზე 35 წერტილი, ტიხრები ამოყვანილი და გალესილი, შეთეთრებული. მოჭიმული იატაკი, ლამინატით დაფარული, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა გარე პერიმეტრზე, მეტალის შესასავლელი კარები, შიდა კარებები, წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური დგარები, აბაზანისა და საპირფარეშოს მოწყობა მხოლოდ კაფელ-მეტლახით.

ბინა შავი კარკასი - ტიხრები ამოყვანილია, მეტალის შესასვლელი კარები. წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური დგარები.

1.3. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები:

ნოდარ გოგლიძე
მაია ოშხარელი
მარიამ გოგლიძე

ამხანაგობის მესაკუთრე წევრი:

მიხეილ მახათაძე პ.ნ. 01026007757

მუხლი 2. ამხანაგობის სახეობა და მიზანი.

2.1 ამხანაგობის მიზანია წინამდებარე ხელშეკრულებით, იურიდიული პირის შეუქმნელად, ყოველგვარი სამეწარმეო მიზნის გარეშე, განსაზღვული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში - „საცხოვრებელი სახლი“) და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც „ამხანაგობის“ წევრთა წილობრივი ტანასაკუთრების/საკუთრების - მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის განსახორციელებლად (მათი წილის შესაბამისად).

2.2 საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მისამართზე ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, მიმადებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N28).

მუხლი 3. დამფუძნებელთა შენატანები

1

3.1. ამხანაგობის მესაკუთრე წევრმა მიხეილ მახათაძემ პ/ნ 01026007757

ამხანაგობაში შეიტანა:

---315 კვ.მ მიწის ნაკვეთი რომლის მახასათებელია:

---ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;

--ნაკვეთის ფუნქცია-არასასოფლო-სამეურნეო;

--დაზუსტებული ფართობი: 315.00 კვ.მ.;

--ნაკვეთის წინა 01.14.05.008.008; ბრძანება N1802378

--მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, მიმადებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N28)

--საკადასტრო კოდი: 01.14.05.008.034;

ასევე ზემოთხსენებულ მიწის ნაკვეთზე გაცემული საპროექტო დოკუმენტაცია (ბრძანება N1802378), რომელიც შემდგომში გახდება ამხანაგობის საკუთრება.

ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი უფლებრივად უნაკლოა, იგი დატვირთული არ არის იპოთეკით. ყადაღა/აკრძალვა და საგასახადო გირავნობა/იპოთეკა არ არის რეგისტრირებული, იგი არ არის რეგისტრირებული მესაკუთრე მოვალეთა რეესტრში, რაც დადასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - განცხადების რეგისტრაციის # 882014153918 – 25/03/2014 15:48:45, საკადასტრო კოდი #01.14.05.008.034 და საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის/საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის და მოვალეთა რეესტრის ელექტრონული მონაცემთა ბაზით.

მიხეილ მახათაძე (პ/ნ 01026007757) იღებს ვალდებულებას, რომ იგი არ დატვირთავს რაიმე უფლებით ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებას.

ასევე ამხანაგობის მესაკუთრე წევრის - მიხეილ მახათაძის (პ/ნ01026007757) ვალდებულებას წარმოადგენს სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება, ასაშენებელი შენობის სრულყოფილი პროექტის და სხვა საჭირო დოკუმენტაციის დასამტკიცებლად წარდგენა, შესაბამის ორგანოებში და მშენებლობისათვის საჭირო ყველა ნებართვის მიღება შესაბამისი უწყებებიდან;

3.2. ამხანაგობის დამფუძნებული წევრის - ნოდარ გოგლიძის შენატანს წარმოადგენს მშენებლობის დაფინანსება იმ მიმართებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში - მშენებლობის ნებართვის მიღებიდან განსაზღვრულ ვადაში მოხდეს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28“-ს მიერ გათვალისწინებული სახლის მშენებლობის სრულად დამთავრება, გადახურვა, შემინვა, ფასადის, შიდა ცენტრალური დგარებისა და გარე კომუნიკაციების დამონტაჟება და შენობის საბოლოო ექსპლუატაციაში მიღება.

მშენებლობის ორგანიზება და წარმართვა დამტკიცებული პროექტის

მიხედვით ან ამის სხვისთვის გადანდობა.

- მშენებლობა დამთავრდება სამშენებლო ნებართვით განსაზღვრულ ვადაში.

3.3. მაია ოშხარელი ამხანაგობაში წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის ვადაში, სადამფუძნებლო თანხა, 58500 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში, შეტანის შემთხვევაში მიიღებს 130 კვადრატულ საცხოვრებელ ფართს მე-4 სართულზე (ნიშნული 6,4)

3.4. მარიამ გოგლიძე ამხანაგობაში წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის ვადაში, სადამფუძნებლო თანხა, 19000 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში, შეტანის შემთხვევაში მიიღებს 57 კვადრატულ საცხოვრებელ ფართს მე-2 სართულზე (ნიშნული 6,4)

3.5. შენატანი უძრავი, ქონების სახით წარმოადგენს ამხანაგობის საკუთრებას, რაც უნდა მოხმარდეს ამხანაგობის მიზნებს.

მუხლი 4. გარიგების ღირებულება

4.1. მხარეთა განცხადებით, მათი შეთანხმებით ამ გარიგების ღირებულება შეადგენს 25000 ლარს.

მუხლი 5. ამხანაგობის მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება.

5.1. ამხანაგობის მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება.

5.2. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას მესამე პირებთან წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე, ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს ბაჩუკ ოშხარელი

5.3. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) და სასამართლოში, სადაც იგი უფლებამოსილია წარადგინოს ამხანაგობის სახელით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ასევე მას უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულებებიდან.

5.4. ამხანაგობის თავმჯდომარეს ეკრძალება:

ა) სესხების, კრედიტების ან/და ვალდებულებების აღება მესამე პირთა წინაშე, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების უფლებრივად დატვირთვა.

ბ) ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განკარგვა (გარდა მშენებლობისათვის საჭირო ფულადი თანხების განკარგვისა).

5.5. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.6. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას.

5.7. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

5.8. ამხანაგობის წევრებს არ შეუძლიათ გადააყენონ ამხანაგობის თავმჯდომარე, თუმცა ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა მხარეებს. ამ შემთხვევაში ახალი თავმჯდომარე აირჩევა დამფუძნებელთა კრების წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ამის გარდა ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება და ამხანაგობის თავმჯდომარედ დაინიშნოს ნებისმიერი ამხანაგობის წევრი, ან ნებისმიერი სხვა ქმედუნარიანი პირი, რომლესაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, ამ შემთხვევაში ყოფილი ამხანაგობის თავმჯდომარე რჩება დამფუძნებელ წევრად და სარგებლობს ყველა არსებული უფლებით.

5.9. ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება:

5.9.1 ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ ამხანაგობის თავმჯდომარის ან ამხანაგობის რომელიმე დამფუძნებელი წევრის მოთხოვნით. კრების მომწვევი ვალდებულია კრების ჩატარების შესახებ ერთი კვირით ადრე მაინც შეატყობინოს ამხანაგობის დამფუძნებლებს

დაზღვეული წერილით, ტელეფონის საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით, სადაც აღმიშნული უნდა იყოს კრების ჩატარების ადგილი, დრო და განსახილველი საკითხი.

5.9.2 კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება დამფუძნებელთა ნახევარზე მეტი. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კრებაში მონაწილე ყველა წევრი ხმათა უბრალო უმრავლესობით.

5.9.3 თითოეულ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმის უფლება მიუხედავად მათი წილისა ამხანაგობაში.

5.9.4 კრებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ამხანაგობის თავმჯდომარის ხმა.

5.9.5 კრებაზე ისეთი გადაწყვეტილებები, რაც დაკავშირებულია ამხანაგობაში ჩვეულებრივი წევრების მიღებასთან, მიიღება მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.

5.9.6 ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრები არ სარგებლობენ ხმის უფლებით.

5.9.7 ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით და რომლის მნიშვნელობაც სცილდება ყოველდღიურ სამეურნეო პროცესს, საჭიროებს წევრთა კრების მიერ გადაწყვეტას.

5.9.8 ყველა სხვა პასუხისმგებლობა ნებისმიერ მესამე პირთა წინაშე, სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულებების მიმართ, ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ ნაწილდება ამხანაგობის დამფუძნებელ და მესაკუთრე წევრებზე სოლიდარულად.

მუხლი 6. ბინები/ფართების განაწილების წესი

6.1. ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების/ფართების განაწილების შესახებ შეთანხმება, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ბინი განთავსების სართული (საჭიროების შემთხვევაში - სადარბაზო) და ასაშენებელი ბინის საერთო ფართი, რეგისტრაციის შემთხვევაში საჯარო რეესტრის მონაცემები.

6.2. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ბინების განაწილების შესახებ შეთანხმება და სამშენებლო დოკუმენტაცია წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებლი ბინის მომავალი მესაკუთრე.

6.3. დამფუძნებელთა შეთანხმებით ფართები უნდა განაწილდეს შემდეგი პრინციპით:

მიხეილ მახათაძე, როგორც მესაკუთრე წევრი მიიღებს:

1) მეორე სართულზე 60 კვადრატულ საცხოვრებელ ფართს თეთრ კარკასს, ამის გარდა, 2016 წლის 25 აპრილამდე მიიღებს 15000 აშშ დოლარს, საიდანაც 500 დოლარი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მიღებული აქვს.

6.4. ამხანაგობის სხვა დამფუძნებელი წევრები:

3.6. მაია ოშხარელი ამხანაგობაში წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის ვადაში, სადამფუძნებლო თანხა, 58500 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში, შეტანის შემთხვევაში მიიღებს 130 კვადრატულ საცხოვრებელ ფართს მე-4 სართულზე (ნიშნული 6,4).

3.7. მარიამ გოგლიძე ამხანაგობაში წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის ვადაში, სადამფუძნებლო თანხა, 19000 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში, შეტანის შემთხვევაში მიიღებს 57 კვადრატულ საცხოვრებელ ფართს მე-2 სართულზე (ნიშნული 6,4).

დარჩენილი ფართების, მომავალში დამატებული ფართებისა და ყველა სხვა ფართისა თუ სამართლებრივი სიკეთის (საცხოვრებელი ფართების, აივნების, ტერასის, ბანის, სხვენის, კომერციული ფართების, დამხმარე ფართების, ავტოსადგომების და სხვა ნებისმიერი ფართის) განაწილება მოხდება მხოლოდ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრ ნოდარ გოგლიძეზე, ამხანაგობის სხვა წევრთა სრული შენატანები და სხვა ნამეტი თანხები ერთად წარმოადგენს მის საკუთრებას, ასევე თუ

მაია ოშხარელი ნოდარ გოგლიძე მიხეილ მახათაძე

რომელიმე ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი დაარღვევს ხელშეკრულების პირობას, ფართი ავტომატურად ხდება ამხანაგობის დამფუძნებელ წევრ ნოდარ გოგლიძის საკუთრება.

ასევე მხოლოდ, ამხანაგობის დამფუძნებელ წევრი ნოდარ გოგლიძე არის უფლებამოსილი სხვა წევრებს გაუგრძელოს თანხის შემოტანის ვადა და/ან სრულად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს თანხის გადახდის ვალდებულებისაგან.

ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი ნოდარ გოგლიძე სამსახურეობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ამ ხელშეკრულებით, თავის წილს, გარკვეული პერიოდი სამართავად გადასცემს ამხანაგობის თავმჯდომარეს ბაჩუკ ოშხარელს.

6.5. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი, ყველა საერთო სარგებლობის ფართობი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართების პროპორციულად.

მუხლი 7. დამფუძნებელთა უფლებები და მოვალეობები

7.1. ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან შეასრულონ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

7.2. თითოეული დამფუძნებელი ვალდებულია ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობა შეასრულოს კეთილსინდისიერად.

7.3. ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინოს დამფუძნებელთა შორის ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ბინის საერთო ფართი და ბინის ნომრები.

7.4. ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტის შედგენას საფუძვლად უნდა დაედოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, თუმცა დაშვებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართების კორექტირება.

7.5. ამხანაგობის ხელმძღვანელი ვალდებულია ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით.

მუხლი 8. ფორს - მაჟორი

8.1. ამ ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელთა გადაწყვეტა მათ ძალებს აღემატება.

8.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებებს განეკუთვნებიან:

- სტიქიური უბედურებები: მიწისძვრა, წყალდიდობა, დამანგრეველი გრიგალი და სხვ.
- სახელმწიფო, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ან ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომლებიც შეუძლებელს გახდის ვალდებულების შესრულებას, სხვა რაიმე სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული დავა.
- სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე სათანადო პირობების არსებობისას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია.

მუხლი 9. ამხანაგობიდან გასვლის წესი

9.1. თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს გავიდეს ამხანაგობიდან. ერთ-ერთი მონაწილის გასვლა ამხანაგობიდან არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

9.2. ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს. გადაწყვეტილება წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 45 დღის განმავლობაში ხმების უბრალო უმრავლესობით.
9.3. წევრს გასვლის შედეგად უკან არ დაუბრუნდება მის მიერ განხორციელებული შენატანები ან/და ამ შენატანების კომპენსაცია, ასევე კარგავს ყველა მოთხოვნის და სარგებლის მიღების უფლებას ამხანაგობის მიმართ. წევრის გასვლის შედეგად მის მიერ დაკარგული ყველა ქონებრივი უფლება და სარგებელი გადაეცემა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრ ნოდარ გოგლიძეს.

მუხლი 10. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის მოქმედები ვადა და შეწყვეტის წესი

10.1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა და იგი არსებობას წყვეტს საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და სახლის ექსპლუატაციაში მიღების მომენტიდან.
10.3. ამხანაგობის საქმიანობა წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალება არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.
10.5. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რაც უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 11. დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა

11.1. ამხანაგობა ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
ფორს - მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადავადდება მდგომარეობის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის წევრებს საჯარიმო სანქციები არ დაერიცხებათ.

მუხლი 12. ამხანაგობის წევრის წილის განკარგვა

12.1. ამხანაგობის წევრს, გარდა მესაკუთრე წევრ მიხეილ მახათაძისა უფლება არ აქვს დამფუძნებელ წევრ ნოდარ გოგლიძის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს თავისი კუთვნილი წილი ან წილის ნაწილი. თავისი კუთვნილი წილის ან წილის ნაწილის გაყიდვის, გაჩუქების ან სხვა რაიმე უფლებრივად დატვირთვის უფლება აქვს მხოლოდ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრ ნოდარ გოგლიძეს და მესაკუთრე წევრ მიხეილ მახათაეს რასაც არ სჭირდება სხვა წევრთა თანხმობა.
12.2. წილის ახალი შემძენი ვალდებულია დაეთანხმოს წინამდებარე ხელშეკრულებას ვინაიდან მასზე გადადის წილთა (მომავალში მისაღებ ქონებასთან) დაკავშირებული ყველა უფლება - მოვალეობა და ვალდებულებები და იგი ხდება ამხანაგობის ჩვეულებრივი დამფუძნებელი წევრი.
12.3. აღნიშნული ნორმები ვრცელდება ამხანაგობიდან გასვლის შემთხვევაზეც, როდესაც „ამხანაგობიდან“ გასვლის მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს ამხანაგობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად „დამფუძნებელი წევრები“ ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ 45 კალენარული დღის განმავლობაში.

მუხლი 13. ამხანაგობის დოკუმენტაციის აღრიცხვა

13.1. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც სავალდებულო წესით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი;
ბ) ამხანაგობის აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;
გ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტი;
დ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;
ე) ამხანაგობის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება და ცვლილებები ამ ხელშეკრულებებში;

ჟურნალი უნდა იყოს ზონარგაყრილი და ბეჭდით დალუქული. თითოეული გვერდი დანომრილი.
ჟურნალში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:
ა) აქტის დასახელება, შედგენის თარიღი, შინაარსი,
13.2. ამხანაგობის დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ ამხანაგობის დაფუძნებისა და ბინების განაწილების აქტები, აგრეთვე ამ აქტებში შეტანილი ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს და აღნიშნული აქტები საჯაროა - ნებისმიერ მესამე პირს უფლება აქვს მოტივირებულად მოითხოვს ამ აქტების ასლების დამზადება.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებანი

14.1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენატიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.
14.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება დამფუძნებელთა კრების 100% გადაწყვეტილებით და ძალაშია ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ამასთან, ცვლილებები - დამატებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.
14.3. მხარეთა შორის ყველა საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი მოქმედი კანონმდებლობით.
14.4. წინამდებარე აქტი შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:
ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები :

ბაჩუკი ოშხარელი (პ/ნ01005043433)

ბაჩუკი ოშხარელი

მარიამ გოგლიძე (პ/ნ01019065430)

მარიამ გოგლიძე

მაია ოშხარელი (პ/ნ 01019012018)

მაია ოშხარელი

ნოდარ გოგლიძე (პ/ნ01019039391)

ნოდარ გოგლიძე

ამხანაგობის მესაკუთრე წევრი:
მიხეილ მახათაძე (პ/ნ01026007757)

მიხეილ მახათაძე

საქართველო

ორი ათას თექვსმეტი წლის ხუთ აპრილს მე, საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. N19, მომმართეს: **ქ-ნმა მაია ოშხარელმა, ქ-ნმა მარიამ გოგლიძემ, ბ-ნმა ნოდარ გოგლიძემ, ბ-ნმა მიხეილ მახათაძემ და ბ-ნმა ბაჩუკი ოშხარელმა**, რომლებმაც წარმოადგინეს მათ მიერ შედგენილი **ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28“-ის ხელშეკრულება (ქ. თბილისი 05/04/2016წ.)** და მოითხოვეს მასზე მათი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ქ-ნმა მაია ოშხარელმა** (დაბ:17/07/1963წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ბუდაპეშტის I შეს. N 5 ბ. 15, პ/ნ 01019012018; პ/მ#12IA10334;), **ქ-ნმა მარიამ გოგლიძემ** (დაბ:18/07/1991წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ბუდაპეშტის I შეს. N 5 ბ. 15; პ/ნ 01019065430; პ/მ#12IA38355;), **ბ-ნმა ნოდარ გოგლიძემ** (დაბ:14/07/1989წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ც.დადიანის ქ. N 141 ბ. 7; პ/ნ 01019039391; პ/მ#12IA37190;), **ბ-ნმა მიხეილ მახათაძემ** (დაბ:08/02/1982წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ბახტრიონის ქუჩა, N 35, ბინა 46; პ/ნ 01026007757; პ/მ#13IJ04522;) **და ბ-ნმა ბაჩუკი ოშხარელმა** (დაბ.26/12/1995წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი საქარის ქ. N 18; პ/ნ 01005043433; პ/მ #12IC74851;) მომმართეს.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

ქ-ნმა მაია ოშხარელმა, ქ-ნმა მარიამ გოგლიძემ, ბ-ნმა ნოდარ გოგლიძემ, ბ-ნმა მიხეილ მახათაძემ და ბ-ნმა ბაჩუკი ოშხარელმა განაცხადეს, რომ მათთვის ცნობილია **ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28“-ის ხელშეკრულების (ქ. თბილისი 05/04/2016წ.)** შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომ იგი სრულად გამოხატავს მათ ნებასა და სურვილს, რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერეს ხელი **ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28“-ის ხელშეკრულებაზე (ქ. თბილისი 05/04/2016წ.)**, რომელიც თან ერთვის სანოტარო ფორმულარს.

ნოტარიუსმა მათ განუმარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ **ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28“-ის ხელშეკრულებაზე (ქ. თბილისი 05/04/2016წ.)** მათი ხელმოწერის ნამდვილობას და არა **ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი N28“-ის ხელშეკრულებაში (ქ. თბილისი 05/04/2016წ.)** მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და ნამდვილობას. მე მათ აგრეთვე განუმარტე, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

დამოწმებულია თითო ეგზემპლარზე ოცდათხუთმეტი ხელმოწერა, სულ დამოწმებულია ასსამოცდათხუთმეტი ხელმოწერის ნამდვილობა ხელშეკრულების ხუთ ეგზემპლარზე და შესაბამისად გადახდილია სანოტარო საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე 350ლ.00თ. 39-ე მუხლის საფუძველზე 2ლ.00თ. და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 63ლ.00თ. ჯამში: 415ლ.00თ.

საქართველოს ნოტარიუსი
მეგი მაღალდაძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160335289
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.04.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწ
ნოტარიუსი	მეგი მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2967042
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47075045270316

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

KazTransGas
TBILISI

შ.პ.ს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"
ООО "КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ"

№01-05/1830 "24" 10 2014 წ/რ

მოქალაქე მიხეილ მახათაძეს

ქ.თბილისი. ბახტრიონის ქ.N15

ტელ: 577 22 25 47

2014 წლის 3 ოქტომბრის N7392 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჯიქიას მიმდებარე ტერიტორია ნაკვეთი საქ/კოდი N01.14.05.008/034-ზე შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს კუთვნილი გაზსადენი არ გადის.

პატივისცემით,

შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისის"

სპეციალური მმართველი გია.ბენაშვილი

შემსრ: თ. ნაცვლიშვილი

ტელ: 2 37 39 21

საქართველო,თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93
ელ.ფოსტა: info@ktg-tbilisi.ge
ვებ გვერდი: http://www.ktg-tbilisi.ge/

Грузия,Тбилиси 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 37 64 93
Эл.почта: info@ktg-tbilisi.ge
Веб-сайт: http://www.ktg-tbilisi.ge/

036664

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 37 64 93
E-mail: info@ktg-tbilisi.ge
Website: http://www.ktg-tbilisi.ge/



სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება 3. [signature]
თარიღი 06.10.16.

დამკვეთი:	შემსრულებელი: შ.პ.ს. "ბაბუნი"			
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ.№29)	დირექტორი			ზ. შირანიშვილი
	არ.მთავარი არქიტექტორი			მ. მახათაძე
	შეასრულა			ნ. მახათაძე
	შეამოწმა			ზ. შირანიშვილი
გენერალური გეგმა	სტადია	მასშტაბი	ფურცელი	ფორმატი
		1:200		A-3

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

TELASI 9 14 00021650

14/04/2014

მოქ. მიხეილ მახათაძეს
მის: ბახტრიონის ქ#35 ბ.46

თქვენი 10.04.2014 წლის #21650 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გადის „თელასის“ კუთვნილი 110კვ–იანი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზი ,,ლისი1, 2" .
საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის განაპირა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება.
2. მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარე მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილებამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით და ხაზის მხარეს ყრუ კედლის აშენება.
3. მშენებლობის დროს დაპროექტდეს და მოეწყოს დამიწების კონტური ელ. დანადგართა მოწყობის წესების შესაბამისად.
4. აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის).
5. სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს) ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის“ შესაბამის სამსახურთან.

სს „თელასის“ ტექნიკური
დირექტორი ვ. ქინქლაძე

შემსრულებელი შრომის დაცვის და სახანძრო
უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი
ტელ: 2779959 მ. ჩიღუნაძე

საქართველო, თბილისი, 0159 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0159, ул. Ванская 3
Тел. +995 (32) 225 52 11 Факс +995 (32) 277 99 81



27.10.14

შეთანხმებულია
შპს "კავკასუს ონლაინთან"
სამუშაოების დაწყების წინ
გამოიძახეთ ჩვენი
წარმომადგენელი. ტელ:
ჰროეე, ტეე, სამსახური
"29" 10 2014 წელი
ვაჟა ფშაველას ტაბტ, №71 71. VAZHA PSHAVELA AVENUE
2200-000, 2200-400

დამკვეთი:		შემსრულებელი: Შ.პ.ს. "გაბუნი"	
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში ჯიქისა ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ.№29)	დირექტორი		ზ. ფირანიშვილი
	პრ.მთავარი არქიტექტორი		მ. მახათაძე
	შეასრულა		მ. მახათაძე
	შეამოწმა		ზ. ფირანიშვილი
გენერალური გეგმა	სტადია	მასშტაბი	ფურცელი / ფორმატი
		1:200	A-3

29.05.14


619.1
621.15
619
620
mSenebare
621.94
621.64
622.31
625.29
621.21
622.78
622.71
623.12
625.2
625.14
625.15
623.6
625.36
623.56
625.42
625.2
625.29
625.32
625.47
625.09
625.17
gr.
625.24
625.11
625.54
625.41
624.83
624.64
624.5
625.27
624.46
624.88
624.05
x=475214.63
y=4618724.27
z=624.50
Pp-1
შემანიშნებელია:
სამუშაოების დაწყების წინ გამოიძახეთ ჩვენი ნარმომადგენელი. სამუშაოები აწარმოეთ ხელით, გაითხარეთ საკონტროლო შურფები.
ტელ: 110000
"29" 09 2014



შპს "ქალაქის არქიტექტურის ბიურო"
29.05.14

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ქ. თბილისში ჯიქიძის ქუჩის მიმდებარე ტერი
(ნაკვ.№29)

გენერალური გეგმა